თანამშრომლობის ხელშეკრულება
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასა
და ონის მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის

№64/17

ქ.თბილისი 24 თებერვალი 2017 წ.

ერთი მხრივ "საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია"(შემდგომში „ასოციაცია") წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის-**დავით ჯიქია** სახით და მეორე მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა წარმოდგენილი მისი გამგებლის-**გიორგი ლობჯანიძის** სახით, ვაფორმებთ თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

I. ზოგადი დებულებები

1.1. თანამშრომლობის ხელშეკრულება განსაზღვრავს ასოციაციისა და ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ურთიერთთანამშრომლობის წესსა და მოვალეობებს. არეგულირებს საქმიანობას ორგანიზაციულ, საფინანსო და წესდებით განსაზღვრულ სხვა სფეროებში.

1.2. თანამშრომლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულება სავალდებულოა ხელშეკრულების ორივე მხარისათვის.

1.3. მხარეები თავის საქმიანობისას ხელმძღვანელობენ საქართველოს ორგანული კანონი- „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-თ, „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი"-თ, ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით, ასოციაციის წესდებით და ასოციაციის სხვა შიდა სამართლებრივი აქტებით.

1.4. თანამშრომლობის ხელშეკრულების მიზანია უზრუნველყოს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინტერესების წარდგენა და დაცვა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციაციების წინაშე და ამასთანავე, ხელი შეუწყოს საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას თავის საქმიანობაში.

II. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

2.1. ხელშეკრულებით ასოციაცია ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს ხელშემკვრელი მხარის მონაწილეობას თვითმმართველობის განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში, მიაწოდოს მას ინფორმაცია ამ სფეროში არსებული მდგომარეობისაც და სიახლეების შესახებ;

ბ) ხელშემკვრელ მხარესთან ერთად განიხილოს თვითმმართველობის განვითარების ძირითადი პრობლემები, დასახოს მათი გადაწყვეტის გზები, კოორდინაცია გაუწიოს სამოქალაქო ინიციატივებს;

გ) შეისწავლოს და მოახდინოს არსებული გამოცდილების განზოგადება; პერიოდულად მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია ასოციაციის წევრებს;

დ) ორგანიზება გაუწიოს და ჩაატაროს სემინარები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სამუშაო შეხვედრები;

ე) უზრუნველყოს თანამშრომლობის დამყარება საქართველოსა და საზღვარგარეთ მოქმედ სხვა მსგავს ორგანიზაციებთან, ამასთანავე, მოახდინოს მიღებული ინფორმაცია/დოკუმენტაციის დამუშავება და ხელისშემკვრელი მხარისთვის მიწოდება;

ვ) მოახდინოს თვითმმართველობის სფეროში მოქმედი კანონებისა და კანონპროექტების შესახებ გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების შეკრება, სისტემატიზაცია და ანალიზი;

ზ) ხელშემკვრელი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში გაუწიოს საინფორმაციო და საკონსულტაციო მომსახურება ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების, თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხებში;

2.2. ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა ვალდებულია:

ა) დაიცვას ამ ხელშეკრულების პირობები და ასოციაციის ორგანოთა მიერ მათ კომპეტენციის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) დადგენილ ვადაში გადაიხადოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანი;

გ) მონაწილეობდეს ასოციაციის საქმიანობაში;

დ) მიაწოდოს ასოციაციის ორგანოებს საქმიანობისათვის საჭირო ინფორმაცია;

III.საწევროს ოდენობა

3.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ასოციაციის წესდებით განსაზღვრული საქმიანობების შესრულებისთვის ამ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი მხარისთვის - ონის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის საწევრო შესატანის ოდენობა განისაზღვრა **300 (სამასი) ლარით.**

3.2. ასოციაცია ვალდებულია ყოველწლიურად მიაწოდოს ინფორმაცია ასოციაციის წევრებს საწევროების ხარჯვის შესახებ.

IV.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.

V.დასკვნითი დებულებები

5.1. თანამშრომლობის ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს მხოლოდ ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

5.2. ხელშეკრულება დგება ორ ეგზემპლარად. ერთი რჩება ასოციაციას, ხოლო მეორე ინახება ხელშემკვრელ მხარესთან.

VI.მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია

ქ. თბილისი. კოსტავას ქ.№75გ 0171;
ტელ: 2726734: 2726735
ფაქსი: 2907484

ონის მუნიციპალიტეტის
გამგეობა

ონი
დავით აღმაშენებლის მოედანი N1

საქართველოს ადგილობრივ
თვითმმართველობათა ეროვნული
ასოციაციის პრეზიდენტი

---------- /დ. ჯიქია/

„24" "თებერვალი" 2017 წ.

ბ.ა.

ონის მუნიციპალიტეტის
გამგებელი

---------- /გ. ლობჯანიძე/

„10" „მარტი" 2017 წ.

ბ.ა.